პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი. № 221 (13306) | შაბათი, 18 სექტემბერი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

მოსკოვში ჩამოვიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია

მოსკოვი, 17 სექტემბერი. (საკდესი). სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მთავრობის მოწვევით დღეს მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ვალტერ ულბრიხტი.

ვნუკოვოს აეროდრომზე გერმანელ მეგობრებს შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები, პარტიული, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწენი, დედაქალაქის მშრომელთა მრავალი წარმომადგენელი.

აეროდრომზე ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ვ. ულბრიხტმა მეგობრული სიტყვები წარმოთქვეს.

მეგობრული ვიზიტები

17 სექტემბერს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ვალტერ ულბრიხტი, ეწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. ლ. ი. ბრეჟნევს.

ვიზიტის დროს გაიმართა საუბარი, რომელშიც ძმური [illegible] ჩაიარა.

იმავე დღეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის [illegible] ბის დელეგაცია ამხ. ვალტერ ულბრიხტის მეთაურობით [illegible] ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. ა. ი. მიქოიანს.

ვიზიტის დროს, რომელშიც გულთბილ, გულითად ვითარებაში ჩაიარა, გაიმართა მეგობრული საუბარი.

17 სექტემბერს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია ამხ. ვალტერ ულბრიხტის მეთაურობით კრემლში ეწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. ნ. კოსიგინს.

ვიზიტის დროს გაიმართა გულთბილი, გულითადი საუბარი. (საკდესი).

ვაჭრობა მოთხოვნილების დონეზე

ჩვენს რესპუბლიკაში წლითიწლობით იზრდება სამრეწველო და სასურსათო საქონლის წარმოება, უმჯობესდება მოსახლეობის მომსახურება. შვიდწლედის განვლილ ექვს წელიწადში აშენდა 8 ათასზე მეტი კარგად მოწყობილი მაღაზია და საზოგადოებრივი კვების 1.000-ზე მეტი საწარმო, საქონლის შესანახი საწყობების ფართობი გაიზარდა 55,6 ათასი კვადრატული მეტრით, ხოლო ტევადობა — 22.460 ტონით. მწყობრში ჩადგა ბევრი მძლავრი მაცივარი.

მიუხედავად ამისა, საქონელბრუნვა გაცილებით უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე სავაჭრო ქსელი. მთელ რიგ რაიონებში მაღაზიების, სასადილოების, საწყობების მშენებლობის ტემპი საკმარისი არ არის, გამოყოფილი სახსრები მთლიანად არ არის გამოყენებული. ამ მხრივ კარგად ვერ გამოიყურება ვანის, ლანჩხუთის, ჩხოროწყუს, ზესტაფონის, ქარელის და ზოგიერთი სხვა რაონი. აქ სავაჭრო მაღაზიები ნაკლებად არის, რაც არის, შეუფერებელ ბინებშია მოთავსებული. რაიონების ცენტრებსა და სოფლებში მცხოვრებთ შორ მანძილზე უხდებათ სიარული სასურსათო და სამრეწველო საქონლის შესაძენად.

არაფერი არ შეიძლება გავამართლოთ ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა საექსპლოატაციოდ გადაცემის დაყოვნება ახალ დასახლებულ პუნქტებში და საცხოვრებელ უბნებსა და კვარტალებში. ცხობილია, რომ პირველ სართულებში მაღაზიების გახსნა უნდა ხდებოდეს სახლებში მობინადრეთა ჩასახლებასთან ერთად. მაგრამ ეს წესი სისტემატურად ირღვევა.

მაგალითად, საბურთალოზე ვაჟაფშაველას პროსპექტის II კვარტალის პირველი კორპუსი თითქმის ერთი წელია გადაეცა საექსპლოატაციოდ. მისი პირველი სართული გათვალისწინებულია გასტრონომიული მაღაზისათვის. უხერხო მუშაობის შედეგად დღემდე ვერ მოხერხდა „გასტრონომიული მაღაზიის გახსნა. ამ კვარტალის მცხოვრებლებს სასურსათო პროდუქტების შესაძენად შორ მანძილზე უხდებათ სიარული, დიდი დრო და შრომა სჭირდებათ. ასევე გასტრონომიული მაღაზიის გახსნა ჭიანურდება პეკინის ქუჩაზე. ამას აღარ შეიძლება შეეფერებოდეს. ამისათვის მეტს უხდა ფიქრობდეს და ზრუნავდეს საქალაქო საბჭოს აღმასკომი.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ვაჭრობის სპეციალიზაციას. სწორი, გონივრული გამოყენების დროს იგი შესაძლებლობას იძლევა უფრო სრულად ვუჩენოთ მყიდველს მაღაზიაში არსებული ნაწარმი, უფრო ღრმად შევისწავლოთ და უკეთ დავაკმაყოფილოთ მოსახლეობის მოთხოვნილება, უფრო ზუსტად შევადგინოთ მრეწველობის შეკვეთები. უფრო აქტიური ზეგავლენა მოვახდინოთ საქონლის მიმწოდებლებზე.

სამრეწველო საქონლის სპეციალიზებული მაღაზიების ქსელის განვითარებასთან ერთად უნდა ვიზრუნოთ აგრეთვე იმისათვის, რომ სასურსათო საქონლით ვაჭრობა უნივერსალური იყოს. ეს დიდად მოსახერხებელია მყიდველისათვის.

საჭიროა ეფექტურად დავუჭიროთ მხარი და ყველგან გავავრცელოთ საუარგებლო წამოწყებანი, რომელთა მიზანია სავაჭრო მომსახურების გაფართოება. ეს სავაჭრო ორგანიზაციების და საწარმოების, ადგილმბრივი საბჭოების ხელმძღვანელთა პირდაპირი მოვალეობაა.

მაღაზიების, სასადილოების მუშაობის გაუმჯობესებაში დიდია პარტიული და პროფკავშირული აქტივის, ფართო საზოგადოებრიობის როლი. მათი ამოცანაა აქტიურად დაეხმარონ სავაჭრო ორგანიზაციებს ყოველივე ახლის, პროგრესულის დანერგვაში,

რითველია, რითველი!

★ ★ ★

ყურძენი სამშობლოს

230.000 ტონა ყურძენისათვის ბრძოლა დღითიდღე სულ უფრო მეტი ძალით ჩადგება. კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები თავდადებით შრომობენ იმისათვის, რომ ყურძნის კრეფა შემეცდრეგულ დროში, უდანაკარგოდ დაამთავრონ. აი როგორია პირველი დღეების შედეგები:

ბურჯანის რაიონი. რთველი პირველად კარდანახის საბჭოთა მეურნეობის ზვრებში დაიწყო. მათ სახელმწიფოს უკვე ჩაბარეს 60 ტონა ყურძენი. 40 ტონა ყურძენი მიეყიდეს სახელმწიფოს ველისციხელმა კოლმეურნეებმა. რთველი დაიწყო მუკუზანსა და ვაზისუბანშიც. რაიონში დამზადებულია 130 ტონაზე მეტი ყურძენი.

სიღნაღის რაიონი. ტიბაანში, ხირსაში, ძველ ანაგასა და ჯუგაანში რთველი მთელი ძალით გაჩაღდა. იკრიფება საფერავი და რქაწითელი. სახელმწიფო მარნებში მიდის მაღალხარისხოვანი ყურძენი. დღეისათვის რაიონში 550 ტონა ყურძენი დამზადდა.

თელავის რაიონი. 25.000 ტონა ყურძნისათვის აბრძოლან რაიონის მევენახეები. იყალთოში, ნიფარეულში, ჯოლაანში, წინანდალში რთველი ორგანიზებულად მიმდინარეობს. დღეისათვის რაიონში უკვე დამზადებულია 140 ტონა ყურძენი.

** წიწამურის რაიონი.** რთველი დაიწყო და წარმატებით მიმდინარეობს გამარჯვების, ჯაფარიძის, საბათლოს, ზემო მაჩხაანისა და არბოშიკის კოლმეურნეობებში. მოკრეფილია ათობით ტონა ყურძენი.

სუფრას დაამშვენებს

ქედა (საკ. კორ.). უხვი შემოდგომაა ქედის რაიონის კოლმეურნეობებში. აქ დაიწყო სადესერტო ყურძნის „ციცქასა“ და „ალიგოტეს“ კრეფა. ვაიოს, კვაშტის, ქედის, ახოს, გეგელიძეების კოლმეურნეობებმა სახელმწიფოს მიაყიდეს პირველი მოსავლის ყურძენი.

წელს რაიონი მიმღებ პუნქტებს ჩაბარებს 7.400 ცენტნერზე მეტ სხვადასხვა ჯიშის ყურძენს.

ელიან „სალხინოს“

მაიაკოვსკი. (საკ. კორ.). ვარციხის ღვინის ქარხანამ წელს 1.720 ტონა ყურძენი უნდა მიიღოს და გადაამუშაოს, საიდანაც ათასობით დეკალიტრი ქართული ღვინო „სალხინო“, „თეთრი პორტვეინი“ და ყურძნის წვენი უნდა დაამზადოს.

ქარხანა გაცხოველებით ემზადება რთველისათვის. გეგმით გათვალისწინებული 50 ათასი დეკალიტრის ტევადობის კასრებიდან უკვე გაკეთეს 32 ათასი დეკალიტრის ტევადობის კასრები. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს სტაციონარული ტარის მომზადების სამუშაოები. ქარხანას 60 ათასი დეკალიტრის ტევადობის რეზინაბეტონის ბუტები შეეძლება.

უკვე შეკეთებული და სავსებით გამზადებულია მანქანა-დანადგარები, სპორთქლი და ელექტროენერგია. ადგილზე აქვთ საკმაო საწვავი. ახლა ქარხანაში ყურძნის მიღება-გადამუშავება, აგრეთვე ყურძნის წვენის ჩამოსხმა მთლიანად მექანიზებულია.

ქარხანამ გადასამუშავებლად უკვე მიიღო საადრო ჯიშის ყურძნის პირველი ტონები.

ცხინვალი. 15 სექტემბერი. (საქდესი). ხაშურიდან ოსეთის ზვრებში უხვი მოსავალი მწიფდება. მთავრდება ბუნანასკენელი მზადება რთველისათვის. ირემონტებენ გზებს, სარწყავ არხებზე გადებულ ხიდებს, კასრებსა და სხვ.

მიმდინარე წელს ოლქის კოლმეურნე მევენახეებმა მოსავალი უნდა აიღონ 500 ჰექტარ ფართობზე. ეს 100 ჰექტარით მეტია, ვიდრე გასულ წელს. ოლქის მევენახეებმა იკისრეს ვალდებულება სახელმწიფოს მიაყიდონ 300 ტონა ზეგეგმითი ყურძენი.

ქნიფდეგა უხვი მოსავალი

ლენინგორის რაიონის სოფელ იკოთის არტელის წევრები ვარაუდობენ საშუალოდ ჰექტარზე მოკრეფონ 100 ცენტნერი ყურძენი.

შესანიშნავი სანახავია სოფელ ბოლის კოლმეურნეობის ზვრები. ოქროსფერად კიაფობენ შემოდგომის მზეზე დახუნძლული ჩინური, რქაწითელის მტევნები. ამ საშუალოდ ჰექტარზე მოკრეფენ სულ ცოტა 90 ცენტნერ ყურძენს. მარტო მევენახეობისგან კოლმეურნეობის შემოსავალი შეადგენს 100 ათას მანეთზე მეტს.

ბარაკიანი

ბარაკიანი რთველია გურჯაანის რაიონის სოფელ კარდანახში. კარდანახის საბჭოთა მეურნეობა წელს 1.500 ტონის ნაცვლად 2.000 ტონაზე მეტ ყურძენს ჩააბარებს სახელმწიფოს. მარანში უკვე მიიტანეს 60 ტონაზე მეტი ყურძენი.

კარდანახელები სიხარულს ვერ მალავენ. ღვინოებისა და კონიაკების საერთაშორისო კონკურსზე, რომელიც ამას წინათ გაიმართა თბილისში, აქაურმა ღვინოებმა „კარდანახი № 14“ და „კარდანახი კახური“ ოქროს მედლები დაიმსახურეს. ეს მაღალი ჯილდო კარდანახელ მეღვინეებთან ერთად მევენახეთა გარკის ნაყოფიც არის.

იწურება ახალი მოსავლის ყურძენი. ტკბილი ბადაგი მიდის ქვევრებსა და უზარმაზარ ხის კასრებში, დღეს მაჭარი. ვინ იცის იქნებ ამ წლის ღვინომაც მიიღოს ოქრო. ბარაქა თქვენს რთველს, კარდანახელებო!

* * *

სურათზე: რთველი კარდანახის საბჭოთა მეურნეობაში.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

შრომითი პატაკები

ხაშურის რაიონმა 14 სექტემბრისათვის შეასრულა სახელმწიფოსათვის კარტოფილის მიყიდვის წლიური გეგმა. სახელმწიფოს მიეყიდა 4.650 ცენტნერი კარტოფილი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4.200 ცენტნერისა. კარტოფილის დამზადება გრძელდება. ამ წარმატებათა შესახებ დეპეშით გვაცნობეს პარტიის ხაშურის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. **აბაზაძემ**, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. **გოგოლაძემ**, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ამხ. **მაისაშვილმა**.

— ლაგოდეხის რაიონმა 15 სექტემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფოსათვის ბოსტნეულისა და ბოღრეულის მიყიდვის წლიური გეგმა, — დეპეშით ატყობინებენ რედაქციას პარტიის ლაგოდეხის რაიკომის პირველი მდივანი ვ. ენგიბარაძე, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. რეხვიაშვილი და სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი ბ. კაკაბაძე.

ლაგოდეხელებმა სახელმწიფოს მიაყიდეს: 1.906 ტონა ბოსტნეული ნაცვლად 1.890 ტონისა, 459 ტონა ბოღრეული ნაცვლად 205 ტონისა. სახელმწიფოსათვის ბოსტნეულისა და ბოღრეულის მოყიდვა გრძელდება.

წალენჯიხის რაიონის მეაბრეშუმეებმა 15 სექტემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის აბრეშუმის პარკის მიყიდვის წლიური გეგმა. დამზადებულია 1.062 ცენტნერი აბრეშუმის პარკი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.060 ცენტნერისა. აბრეშუმის პარკის დამზადება გრძელდება. — დეპეშით აცნობეს რედაქციას პარტიის წალენჯიხის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. კვარაცხელიამ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. მიქაბაძემ და სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ნ. სალიამ.

კურეულის თესვა გაჩაღდა

ზნაური. (საკ. კორ). ოქროს შემოდგომაა. ხილს ეროვა დაიწყო, მეევნახეები ემზადებიან რთველისათვის. მაგრამ კვლავ ცხარე დღეებია მხვნელ-მთესველთათვის. გაჩაღდა შემოდგომის ხორბლის თესვა. ზნაურელები ამ საქმეს წელს ორგანიზებულად შეუდგნენ.

საშემოდგომო თესვა პირველმა დაიწყო სოფელ თიღვის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ. აქ სამი ტრაქტორი მუშაობს თესვაზე. უკვე დათესილია 100 ჰექტარი ხორბალი.

თესვას შეუდგნენ აგრეთვე სოფელ ავნევის გურამიშვილის სახელობის კოლმეურნეობაში. ტრაქტორისტმა ვ. თოდუაძემ რამდენიმე დღეში 50 ჰექტარი ხორბალი დათესა.

თესვა დაიწყეს ქვათეთრის, ველეგბისა და ფრინველის კოლმეურნეობებში.

ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო მერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი

17 სექტემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ამხ. ხ. ბიტნერი მისი თხოვნით და მეგობრულად ესაუბრა მას.

ა. ნ. კოსიგინმა მიიღო ინდოეთის ელჩი

17 სექტემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა მიიღო ინდოეთის ელჩი საბჭოთა კავშირში ტ. ნ. კაული მისი თხოვნით და ესაუბრა ინდოეთ-პაკისტანის კონფლიქტის საკითხზე. (საკდესი).

მარცვალი—სახელმწიფოს

იმიერკავკასიის ოლქის სოფლის მეურნეობის მუშრომლებმა წარმატებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მარცვლის მიყიდვის დავალება. 1965 წლის 15 სექტემბრისათვის სახელმწიფოს მიაყიდეს 9,5 ათასი ტონა მარცვალი, ანუ გეგმა შეასრულეს 119 პროცენტით.

დიდი შრომის შედეგი

ამ თვალს არ ენახვება ჩვენი მეურნეობის ზვრები. იქ, სადაც რამდენიმე წლის წინათ წეროვნის „გადახრუკული ფერდობები იყო, ახლა გადაჭიმულია 705 ჰექტარი ვენახი. აქედან მსხმოიარეა 338 ჰექტარი. თვალსა და გულს ახარებს მტევნებით დახუნძლული პინოს, ჩინური და რქაწითელის ჯიშის ვაზები. ასეთი ბარაქიანი რთველი კარგახანია არ გგქონია. როგორც ცნობილია, რთველი არა მარტო მევენახეთა ზეიმი და მთელი წლის შრომის შეჯამებაა, არამედ დაძაბული შრომის დროც არის. ყურძნის კრეფა შრომატევადი საქმეა, რისთვისაც ჩვენ კარგად მოვემზადეთ.

უკვე მზადა გვაქვს 4 ათასი ყუთი ყურძნის გადასატანად, 600 ვედრო, დანები, სასწორები და სხვა ინვენტარი. რთველის დღეებში განუწყვეტლად იმუშავებს 20 სატვირთო აგტომანქანა და 600 მკრეფავი. გაანგარიშებული გვაქვს, რომ ამ ძალებით ყოველდღიურად მოვკრეფთ 120 ტონა ყურძენს. სულ წელს უნდა მივიღოთ 1.300 ტონაზე მეტი ყურძენი. კამოდის, რომ რთველს 17-18 დღეში მოვრჩებით.

გამარჯვებული ხვდებიან რთველს პირველ, მეორე, მესამე და შეექვსე აგრუბნებში (აგრონომები ნ. ჩოჩია, ი. მაჭავარიანი, ვ. მაჩხანელი, კ. გამყრელიძე), სადაც საუკეთესოდ მოუარეს ვაზს და მოსავალსაც კარგს იღებენ. მეურნეობაში შექმნილი გეგმაც აგრეთვე . მეგენახეობის 28 და შექანიზატორთა 5 რგოლი, უკეთესთა შორის საუკეთესონი არიან ვ. სოხაშვილის, ფ. სოხაშვილის, დ. ურთაშვილის, ლ. ირემაშვილის, ბ. ქერდიყაშვილის, გ. თვაურის და ი. კორაშვილის რგოლები, რომლებიც ჰექტარზე საშუალოდ 80-100 ცენტნერ ყურძენს იღებენ.

მევენახეები აღფრთოვანებული არიან ყურძნის შესასყიდი ფასების მომატებით. მათი სოციალისტური ვალდებულებაა სახელმწიფოს ჩააბარონ გაცილებით მეტი ყურძენი, ვიდრე გეგმით არის გათვალისწინებული. შარშან ჩვენი მეურნეობის მუშაკებმა ყურძნის მოსავლიანობის გეგმა 136 პროცენტით შეასრულეს. წელს უკეთესი პირობები გვაქვს. ეს იმას ნიშნავს, რომ სამშობლოს გაცილებით მეტ ყურძენს მივიტანთ.

რთველი დაიწყო. ყოველდღიურად 100 ტონაზე მეტ ყურძენს ვაძლევთ სამშობლოს. ჩვენი ერთსულოვანი გადაწყვეტილებაა რთველი შემეცდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ დავამთავროთ.

გ. გუგუციძე,
საქართველოს მანქანათა საგამოცდო სადგურის მცხეთის საცდელი მეურნეობის მთავარი აგრონომი.

გენერალი ნე ვინი საბჭოთა კავშირში

მოსკოვი ყოფილის მეორე დღეს, 16 სექტემბერს, ბირმის კავშირის რევოლუციური საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გენერალი ნე ვინი და მისი თანმხლები პირნი იყვნენ ვ. ი. ლენინის მავზოლეუმში. გენერალმა ნე ვინმა გვირგვინთან შეაკო მავზოლეუმი. გვირგვინის ლენტზე ეწერა: „ბირმის კავშირის რევოლუციური საბჭოს და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გენერალ ნე ვინისაგან“.

შემდეგ გაიმართა საბჭოთა ხელმძღვანელებისა და ბირმის კავშირის სახალხო მეურნეობის მეთაურისა და სახელმწიფო მოღვაწეების საუბარი. საბჭოთა კავშირის მხრივ საუბარში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. ი. მიქოიანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომაკო, საგარეო ვაჭრობის მინისტრი ნ. ს. პატოლიჩევი და სხვები.

საუბრის დროს, რომელშიც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები საბჭოთა კავშირ-ბირმის ურთიერთობის, შემდგომ განვითარების საკითხებზე. განიხილეს ორივე მხარისათვის საინტერესო საერთაშორისო პრობლემები.

იმავე დღის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და საბჭოთა მთავრობამ კრემლის დიდ სასახლეში საუზმე გამართეს გენერალ ნე ვინის პატივსაცემად. საპატიო სტუმართან ერთად საუზმეზე იყვნენ მისი თანმხლები პირები. საბჭოთა კავშირის მხრივ საუზმეზე იყვნენ გ. ი. ვორონოვი, ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. მაზუროვი, ი. ა. მიქოიანი, შ. ა. სუსლოვი, ბ. ნ. პონომარიოვი და სხვები.

საუზმის დროს გენერალმა ნე ვინმა და ა. ი. მიქოიანმა სიტყვები წარმოთქვეს.

ნაშუადღევს გენერალმა ნე ვინმა დათვალიერა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა. საღამოს სტუმრებმა დიდ თეატრში ნახეს ლ. მინკუსის ბალეტი „დონ კიხოტი“. ბირმელ სტუმრებთან ერთად სპექტაკლზე იყვნენ ა. ი. მიქოიანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეები ა. ა. მიორსიანი, ი. ი. პალეცისი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე კ. ნ. რუდნეკი და სხვა ოფიციალური პირები. (საკდესი).

მოსკოვი, 17 სექტემბერი. (საკდესი). ბირმის კავშირის რევოლუციური საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გენერალი ნე ვინი, რომელიც ოფიციალური ვიზიტით სსრ კავშირში იმყოფება დღეს დილით ზაპოროჟიეში გაფრინდა.

ზაპოროჟიე, 17 სექტემბერი, (საკდესის სპეც. კორ.). ბირმის კავშირის რევოლუციური საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გენერალი ნე ვინი ბირმის თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწეებთან ერთად დღეს დილით ზაპოროჟიეში ჩამოვიდა.

ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე

ზუგდიდი, 17 სექტემბერი. (საქდესი). გუშინ ენგურის უნიკალური ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა დაათვალიერა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ვ. მეძავნანაძემ. მასთან ერთად მშენებლობას ეწევიენენ სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტის თავმჯდომარე პ. ს. ნეპოროჟნი, აგრეთვე ამ კომიტეტის მთავარი სამმართველოს უფროსი ი. ვ. ალმზინი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი რ. ი. ფრუშიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ბ. ი. ჩოგოვაძე. ისინი იყვნენ სოფელ ჯვარში, რომლის მახლობლად შენდება სამასმეტრიანი თაღოვანი ალმაპარაკა ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებელთა წინაშე დასახული ამოცანების შესახებ.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა ამხ. ვ. ვ. მეძავნანაძემ.

ენერგეტიკული ინდუსტრიის [illegible] ბრალზილიასთან

4-16 სექტემბერს საბჭოთა კავშირში იმყოფებოდა ბრაზილიის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდა დაგეგმვისა და ეკონომიური კოორდინაციის მინისტრი რობერტ კამპოსი. გაიმართა ამ დელეგაციისა და კომპეტენტური საბჭოთა ორგანიზაციების მოლაპარაკება საბჭოთა კავშირსა და ბრაზილიას შორის ეკონომიური ურთიერთობის შესაძლო გაფართოების შესახებ.

მოლაპარაკების დროს მხარეებმა აღნიშნეს, რომ მზად არიან კვლავაც განავითარონ ურთიერთვაჭრობა, აგრეთვე ორივე ქვეყნის ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობა.

კერძოდ, მოლაპარაკების დროს განიხილეს ბრაზილიაში დიდი ჰიდროელექტროსადგურისა და ფიქალის ქარხნის მშენებლობის საკითხები. საბჭოთა ორგანიზაციები ზემოაღნიშნული ობიექტებისათვის ბრაზილიას მიაწვდიან აღჭურვილობას. მასალებსა და გაუწევენ ტექნიკურ მომსახურებას. (საკდესი).

ვენერას ფოტოდაკვირვება

ჯულაოვო, 17 სექტემბერი. (საკდესის კორ.). ვენერას ამ დროს ადგილ-მდებარეობა ორბიტაზე მისი მოძრაობის დროს ახლა ასტრონომებმა შეუძლიათ განსაზღვრონ რაკეის 0,3 წამის სიზუსტით პლანეტური ფოტოკამერის საშუალებით, რომელიც პულკოვოს ობსერვატორიაში შექმნეს.

— ასეთი კამერა, რომელიც ოპტიკურია მბრუნავი ფილტრით, შესაძლებლობას გვაძლევს, ასე ვთქვათ „შევაჩეროთ“ ვენერას მოძრაობა ვარსკვლავებს შორის და ფოტოფირებზე მივიღოთ მისი კვეთი, წაუგრძელებელი გამოსახულება, მაგრამ ამასთან შესაბამებული სიკაშკაშით, — განუცხადა საკდესის კორესპონდენტს, პროფესორმა ა. დეიჩმა, რომელიც პულკოვოში მეთაურობს ფოტოგრაფიული ასტრომეტრიის განყოფილებას.

ვენერა ცაზე ზნეშვნელოვნად უფრო სწრაფად მოძრაობს, ვიდრე მარსი, იუპიტერი და სხვა პლანეტები, ამიტომ განსაკუთრებით ძნელია მისი „მოძრაობის“ თავისებურებათა აღბეჭდვა. შექმნილი კამერები ამ ამოცანის გადაწყვეტის საშუალებას იძლევიან.

ახალი ხელსაწყოს დახმარებით მიღებულია ორმოცდაათი ფოტოსურათი, რომლებზეც აღბეჭდილია ვენერას მდგომარეობა.

ნავთობის მოპოვება 1966 წელს

მოსკოვი, 16 სექტემბერი. (საკდესის კორ.). საბჭოთა კავშირის ნავთობის მრეწველობის ისტორიაში არნახულად გაიზრდება „შავ. ოქროს“ მოპოვება 1966 წელს — ოცდაერთ მილიონ ტონას გადააჭარბებს. გათვალისწინებულია წლის ძირძილზე სულ ამოიღონ 264 მილიონი ტონა.

ეს მონაცემები მოიყვანეს 16 სექტემბერს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ნავთობმომპოვებელი მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის სხდომაზე. რომელშიც განხილი ნავთობის ინდუსტრიის განვითარების 1966 წლის გეგმა.

ჩვენს ლიაო
საკავშირო

ჟურნალი ცხოვრება

მთავარია კომუნისტთა თეორიული სწავლება

ახალი სასწავლო წელი პარტიული სწავლების სისტემაში

მარქსიზმ-ლენინიზმი დიდი მოძღვრება კომუნისტური პარტიის პოლიტიკის მეცნიერული საფუძველი, მისი გიგანტური პრაქტიკული მოღვაწეობის თეორიული საძირკველია. მარქსისტულ-ლენინური თეორიის ღრმად შესწავლა ეხმარება მშრომელებს აქტიურად და შეგნებულად იბრძოლონ ჩვენი პარტიის პოლიტიკის გამარჯვებისათვის.

მისდევს რა ლენინურ ტრადიციებს, კომუნისტური პარტია ყოველთვის დიდ უურადღებას უთმობს თვითეული საბჭოთა ადამიანის მეცნიერული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას, ზრდის ყველა მშრომელს პარტიისა და ხალხის წინაშე მდგომი ამოცანების ღრმა გაგების სულისკვეთებით, უნერგავს მათ კომუნიზმის მშენებლებისათვის საჭირო თვისებებს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის (1964 წ.). და შემდგომმა პლენუმებმა გადაჭრით დაგმეს სუბიექტივიზმი და ვოლუნტარიზმი, საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური კანონების უგულებელყოფა და შექმნეს ყველა აუცილებელი პირობა მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების განვითარებისათვის, ჩვენი კადრების მიერ მისი ღრმად და შემოქმედებითად შესწავლისათვის.

კომუნისტთა მარქსისტულ-ლენინური გამოწრთობის, მაღალი კომუნისტური შეგნების სულისკვეთებით მსგბის აღზრდის უმნიშვნელოვანესი ფორმაა პარტიული სწავლების სისტემა.

საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა კომუნისტთა და უპარტიოთა პოლიტიკური განათლების, კომუნიზმის მშენებლობის პრაქტიკულ ამოცანებთან რევოლუციური თეორიის შესწავლის დაკავშირების მდიდარი გამოცდილება შეიძინეს. გასულ სასწავლო წელს პარტიული განათლების ყველა ფორმაში 400 ათასზე მეტი კაცი სწავლობდა ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის, სოციალიზმის მსოფლიო სისტემის განვითარების, კომუნისტური და მუშათა პარტიების სტრატეგიისა და ტაქტიკის აქტუალურ პრობლემებს. ამან უთუოდ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მშრომელთა პოლიტიკური მომზადების სფეროს გაფართოებაში,

მაგრამ თანამედროვე პირობებში, როცა მშრომელთა პოლიტიკური, ზოგადსაგანმანათლებლო და კულტურული დონე განუწყვეტლივ იზრდება, პარტიული განათლების ადრინდელი შინაარსი და მეთოდები მაქსიმალურად ვეღარ დაეკმაყოფილებინა ფილებს კომუნისტთა და უპარტიოთა ინტერესებსა და მოთხოვნებს. მთავარი ნაკლი ის იყო, რომ პარტიული განათლების სისტემაში კომუნისტების უმრავლესობა ვერ იძენდა მარქსიზმ-ლენინიზმის სისტემატიზებულ ცოდნას, რადგანაც წლების მანძილზე ფაქტიურად ერთსა და იმავე საკითხებს სწავლობდა. გარდა ამისა, პოლიტიკური განათლების სისტემაში უკანასკნელი სასწავლო წლის ანალიზი გვიჩვენებს, რომ რესპუბლიკაში საგრძნობლად შემცირდა ჩვენი პარტიის ისტორიის, პოლიტიკური ეკონომიის, მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის შემსწავლელი კომუნისტების რიცხვი. პოლიტიკური სწავლების საქმეს დიდ ზიანს აყენებდა ავრეთვე უკიდურესი გატაცება რაოდენობრივი მაჩვენებლებით, როცა მთავარი უურადღება სწავლების იდეურ დონისა და ქმედითობას კი არ ექცეოდა, არამედ წრეებისა და მათში გაერთიანებულ მსმენელთა რიცხობრივ მონაცემებს.

ამ დღეებში რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც ემზადებიან ახალი სასწავლო წლისათვის პარტიული განათლების სისტემაში, ფართოდ განიხილავენ პოლიტიკური სწავლების შინაარსისა და მეთოდების შემდგომი გაუმჯობესების საკითხებს. ამასთან დაკავშირებით საჭიროა უურადღებით გავუკეთოთ ანალიზი გასული სასწავლო წლის შედეგებს, რათა შევინარჩუნოთ პროპაგანდისტული მუშაობის დადებითი გამოცდილება და თავიდან ავიცილოთ წარსულში დაშვებული ნაკლოვანებები. პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან ისე მოაწყონ პოლიტიკური სწავლება, რომ კომუნისტებსა და უპარტიო აქტივისტებს საშუალება ჰქონდეთ გარკვეული დროის მანძილზე , ღრმად, ყოველმხრივ დაეუფლონ მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემადგენელ ნაწილებს — ფილოსოფიას, პოლიტიკურ ეკონომიის, და მეცნიერული კომუნიზმის საფუძვლებს, კარგად შეისწავლონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია, ისწავლონ რევოლუციური თეორიის პრაქტიკულად გამოყენება. საჭიროა დავძლიოთ პარტიული სწავლების შეცვლა პროფესიულ-ტექნიკური სწავლებით.

მომავალი სასწავლო წლისათვის მზადებაში ყველაზე დამახასიათებელი თავისებურება ის არის, რომ მეტი უურადღება ექცევა კომუნისტთა პოლიტიკურ სწავლებას. ამასთანავე პარტიული განათლების ცალკეული რგოლების დაკომპლექტების დროს საჭიროა მაქსიმალურად გავითვალისწინოთ კომუნისტების თეორიული და ზოგადსაგანმანათლებლო მომზადების დონე. პრაქტიკა ადასტურებს, რომ ამ ამხანაგებისათვის, რომლებსაც მრავალი წლის პოლიტიკური სწავლების შედეგად მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების ცოდნის მტკიცე საძირკველი აქვთ და რომლებმაც დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევები შეიძინეს, სასარგებლოა სწავლების ისეთი კოლექტიური ფორმები, როგორიც არის თეორიული, საკონფერენციები და კონფერენციები, აბრეთვე ინდივიდუალური გეგმეპით მუშაობა

მაგრამ არიან ისეთი ამხანაგებიც, რომლებსაც ჯერ კიდევ არა აქვთ თეორიული ცოდნის მტკიცე საფუძველი და სურთ მიიღონ საშუალო პოლიტიკური განათლება. ამ ამხანაგების მოთხოვნას კარგად დაეკმაყოფილებს მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლა, სადაც მათ პროგრამით გათვალისწინებული მასალების შესწავლის პროცესში შეუძლიათ ისწავლონ დამოუკიდებლად მუშაობა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაშრომებზე, პარტიის უმნიშვნელოვანეს გადწყვეტილებებსა და დოკუმენტებზე.

კომუნისტთა იმ ნაწილისათვის, რომლებიც ჯერ კიდევ საკმაოდ მომზადებული არ არიან მარქსისტულ-ლენინური თეორიის ღრმად შესწავლისათვის, სასურველია შეეკმნათ **დაწყებითი პოლიტსკოლა**, რომელიც მსმენელებს მისცემს პოლიტიკური ცოდნის აუცილებელ მინიმუმს.

გარდა ამისა, კომუნისტებს შეუძლიათ უმაღლესი პოლიტიკური განათლება მიიღონ მარქსიზმ-ლენინიზმის სალამოს უნივერსიტეტებსა და საქალაქო კომიტეტებისა და რაიკომების კარტიულ-სამეურნეო აქტივის სკოლებში, რომლებიც მომავალ სასწავლო წელს მუშაობას წარმართავენ სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული დაუსწრებელი უმაღლესი პარტიული სკოლის პროგრამების საფუძველზე.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადების პერიოდში პარტიულმა ორგანიზაციებმა ფართოდ უნდა განუმარტონ კომუნისტებსა და უპარტიო აქტივისტებს, თუ რა პოლიტიკური ცოდნის შეძენა შეიძლება პარტიული განათლების ცალკეულ რგოლებში. ჩვენს პრესაში გამოქვეყნდა დაწყებითი პოლიტსკოლისა და მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლის სანიმუშო სასწავლო გეგმები. პროგრამით გათვალისწინებული მასალების შესწავლას სასწავლო წლის მანძილზე ეგეგმება 64 საათი, ე. ი. კვირაში ერთი მეცადინეობა.

ამჟამად ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ კიდევ უფრო სრულყოთ პარტიული სწავლება, მივაღწიოთ მისი იდეური დონისა და ქმედითობის შემდგომ ამაღლებას. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ პარტიული განათლების ქმედითობის საუკეთესო მაჩვენებელია პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის განმტკიცება, თვითეული კომუნისტის და, უწინარეს ყოვლისა, თვითეული ხელმძღვანელი მუშაკის ავანგარდული როლის ამაღლება, მისი აქტიური მონაწილეობა მასობრივ-პოლიტიკურ და პროპაგანდისტულ მუშაობაში.

მომავალ სასწავლო წელს უფრო რთული ამოცანები დგას პარტიული სწავლების ყველა რგოლის ხელმძღვანელების, პროპაგანდისტებისა და ლექტორების წინაშე. სწორედ მათს თეორიულ მომზადებასა და მეთოდურ დოსტატებზე ბევრად იქნება დამოკიდებული პოლიტიკური სწავლების იდეური დონე. გასულ სასწავლო წელს ცოტა როდი იყო ისეთი შემთხვევები, როცა ცალკეული პროპაგანდისტები მოსაწყენად იმეორებდნენ თვითეული მსმენელისათვის კარგად ცნობილ დებულებას, ურიდებდნენ იმას, რომ მსმენელთა მხოლოდ ერთი ნაწილი ემზადებოდა მეცადინეობისათვის, დანარჩენები კი მოუმზადებელნი მიდიოდნენ, ახლა მთავარია უზრუნველყოთ თვითეული სკოლა და სემინარი მაღალი კვალიფიკაციის პროპაგანდისტებით, რომლებმაც ღრმად იციან თეორია, შესწავლეს ცოდნის ნათლად გადაცემისა და ამ ცოდნის ცხოვრებასთან დაკავშირების უნარი.

პარტიულმა კომიტეტებმა პირველად ორგანიზაციებთან ერთად გულდასმით უნდა შეისწავლონ, **თუ რამდენი ლეგადასხვა სპეციალობის პროპაგანდისტი იანება საპირო, და მოაწყონ მათი მომზადება.** ამასთანავე საჭიროა მოვამზადოთ პროპაგანდისტთა კადრების გარკვეული **რეზერვი,** რომლებიც საჭიროების შემთხვევაში სამის ცოდნით წარმართავენ სკოლისა თუ სემინარის მუშაობას. რესპუბლიკის ცალკეულ ქალაქებში მუშაობს პროპაგანდისტთა გადასამზადებელი ზონალური კურსები, სადაც 2.500-მდე პროპაგანდისტი იმაღლებს თეორიული ცოდნის დონეს, სრულყოფს მეთოდურ ოსტატობას.

დიდი მნიშვნელობა აქვს ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკების პირად მონაწილეობას პროპაგანდისტულ მუშაობაში. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ პარტიული კომიტეტის მდივნის, მშრომელთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარის, საწარმოს, დაწესებულებისა და კოლმეურნეობის ხელმძღვანელის პროპაგანდისტული მუშაობა არა მარტო პროპაგანდის აქტივიზაციას იწვევს, არამედ კეთილმყოფელ გავლენას ახდენს თვით ხელმძღვანელის მუშაობის სტილზე, საშუალებას აძლევს მას წარმატებით, განუყრელ ერთიანობაში წყვეტდეს სამეურნეო და პოლიტიკურ საკითხებს. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ყველა ხელმძღვანელი მუშაკი აუცილებლად სკოლას ან სემინარს ხელმძღვანელობდეს. ისინი სისტემატურად უნდა გამოდიოდნენ მშრომელთა წინაშე ლექციებ-მოხსენებებითა და საუბრებით.

ბევრი რამ უნდა გაკეთონ მომავალ სასწავლო წელს **პოლიტიკური განათლების სახლებმა და კაბინეტებმა.** სასწავლო წლის დაწყების წინ ადგილებზე მოეწყობა პროპაგანდისტთა სემინარები. მაგრამ ეს მათთან მუშაობის მხოლოდ დასაწყისია. სასწავლო წლის მანძილზე სისტემატურად უნდა ეწყობოდეს კვალიფიკაციური სემინარები მეცადინეობის მორიგ თემებზე. მეთოდური კონფერენციები, პროპაგანდისტების ურთიერთდასწრება მეცადინეობაზე, ცალკეული მეცადინეობის კოლექტიური განხილვა. საჭიროა უფრო აქტიური გავხდოთ მეთოდური საბჭოებისა და ჯგუფების მუშაობა. სისტემატურად უნდა ვაცნობდეთ პროპაგანდისტებს ჩვენი პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებს, ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების საქმიანობას.

პარტიულმა ორგანიზაციებმა დიდი ორგანიზატორული და ახსნაგანმარტებითი მუშაობა უნდა გაწიონ იმისათვის, რომ მომავალ სასწავლო წელს არა მხოლოდ სიტყვით, **არამედ უკვე საქმით გადაიტანონ სიმღვრის ცენტრი პოლიტიკურ თვითგანათლებაზე, როგორც მარქსიზმ-ლენინიზმის დაუფლების ძირითად მეთოდზე.** საჭიროა ყველა ღონისძიებით განავითარონ დამოუკიდებელი სწავლების კოლექტიური, სემინარული ფორმები, რომლებიც ხელს უწყობენ მარქსიზმ-ლენინიზმის ნამდვილად შეგნებულად შესწავლას. თეორიულ სემინარებში ხდება ნიგნზე ინდივიდუალური მუშაობის ყველაზე სწორი შეხამება თეორიული საკითხების კოლექტიურ განხილვასთან, უზრუნველყოფილია კომუნისტების პოლიტიკური სწავლებისადმი ქმედითი კონტროლის განხორციელება. მაგრამ ეს არ გამორიცხავს, რომ ცალკეულ შემთხვევაში კომუნისტებმა ინდივიდუალური ეგეგმების მიხედვით შეისწავლონ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაშრომები, პარტიის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებები და დოკუმენტები. ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილია პარტიულ ორგანიზაციებში გამოვიყოთ კვალიფიციური კონსულტანტები, რომლებიც სათანადო დახმარებას გაუწევენ ინდივიდუალური გეგმებით მომუშავე ამხანაგებს.

პარტიულმა კომიტეტებმა და პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ქმედითი დახმარება უნდა გაუწიონ **კომკავშირულ ორგანიზაციებს** ახალგაზრდობის პოლიტიკური სწავლების სისტემისათვის კვალიფიციურ პროპაგანდისტთა შერჩევაში, კადრების ინსტრუქტაჟში, ლექციებისა და ანალიზების ორგანიზაციაში, ინფორმაციებისა და ანალიზების ორგანიზაციაში, ინფორმაციებისა და ანალიზების ორგანიზაციაში, ინფორმა

საერთაშორისო ცხოვრება

ასტრონავტთა საერთაშორისო კონგრესი

ათენი, 16 სექტემბერი. საკადესის სპეციალური კორესპონდენტი ლ. მარკელოვა გვატყობინებს:

ჩვენი დროის კოსმონავტიკის განვითარების უდიდეს მიღწევად მსოფლიომ აღიარა ბოლო კოსმოსში ადამიანის გასვლის ექსპერიმენტი, რომელიც საბჭოთა კოსმონავტებმა განახორციელეს. დღეს „ვოსხოდ-2"-ის ეკიპაჟმა ამ ექსპერიმენტის მეცნიერული შედეგები მოახსენა ასტრონავტთა XVI საერთაშორისო კონგრესს. მოხსენებამ, რომელშიც კოსმონავტმა მფრინავებმა პ. ბელიაევმა და ა. ლეონოვმა მეცნიერულად გააანალიზეს ექსპერიმენტის დროს მიღებული მონაცემები, კონგრესზე დიდი ინტერესი გამოიწვია. დარბაზში, სადაც კონგრესის ეს პლენარული სხდომა მიმდინარეობდა, იყვნენ მსოფლიოს ბევრი ქვეყნის უდიდესი მეცნიერები.

კოსმოსურ სივრცეში რაბვის მეთოდით გასვლის პირველი ექსპერიმენტი, ხაზგასმით აღნიშნა მოხსენებაში პ. ბელიაევმა, დიდ შესაძლებლობებს გვისახავს კოსმოსის შემდგომი ათვისებისათვის. ეკიპაჟების შესაცვლელად და სხვა მიზნებისათვის ასტრონავტია გასვლა მომავალი ორბიტული სადგურებიდან, როგორც ჩანს, მხოლოდ რაბვის მეთოდით არის მიზანშეწონილი, რადგან ამ მეთოდის გამოყენების დროს ადარ ხდება ხომალდის დეკერტეზიცია.

მეორე პრობლემა, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული „ვასვლილ კოსმოსში ერის შეღების" მეთოდოლოგიასთან, არის ბრავალადგილიანი კოსმოსური ლაინერის ეკიპაჟის სიცოცხლის უზრუნველყოფის სისტემა. ჩვენი ხომალდი, აღნიშნა მოხსენებაში პ. ბელიაევმა, პრინციპულად ახალი იყო „ვოსტოკთან" და „ვოსხოდთან" შედარებით. პავლე ბელიაევმა მოკლედ და ჩამოყალიბებულად მოახსენა სამეცნიერო ფორუმს აგრეთვე სამედიცინო-ბიოლოგიური დასკვნები, ნაბიკვლები შემდგომი მეცნიერული კვლევისათვის.

სპეციალისტები მეტად დაინტერესა ა. ლეონოვის ცნობებმა გასვლილ კოსმოსში მოძრავი ადამიანის „სიცოცხლის უზრუნველყოფის ზურგჩანთის ავტონომიური სისტემის" შესახებ. კოსმონავტს თავის ინდივიდუალურ საცხოვრებელში — სკაფანდრში თვითონვე შეეძლო „ვითარების" რეგულირება. კოსმონავტის სურვილის შესაბამისად სკაფანდრში შესაძლო იყო ზედმეტი წნევა.

კოსმოსურ სივრცეში გასვლის ექსპერიმენტმა, რომელიც ამერიკელმა კოსმონავტმა ედარდ უაიტმა გაიმეორა, თქვა შემდეგ ა. ლეონოვმა, სავსებით დადასტურა, რომ ადამიანს შეუძლია გარკვეული სამუშაო ოპერაციები შეასრულოს გაფლილ კოსმოსში.

დღეს კონგრესზე გაიმართა სიმპოზიუმი, რომელიც მიეძღვნა მთვარის საერთაშორისო ბრძოლორის. გრძელდება სექციების სხდომები კოსმონავტიკის სხვადასხვა დარგში.

◆

სტუმრად საფრანგეთში

პარიზი, 17 სექტემბერი. (საკადესი). აქ დამთავრდა საფრანგეთის კომუნისტური პარტიისა და ვიეტნამის მშრომელთა პარტიის დელეგაციების მოლაპარაკება. საფრანგეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ვალდეკ როშემ და ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ლე დიკ ოხომ გუშინ ხელი მოაწერეს ერთობლივ განცხადებას.

◆

ნატოს საბჭოში

პარიზი, 17 სექტემბერი. (საკადესი). გუშინ პარიზში გაიმართა ნატოს საბჭოს ექვემდე წარმომადგენელთა მორიგი სხდომა. სხდომაში მოხაწილეობდა ამერიკის შეერთებული შტატების ახალი წარმომადგენელი ჰარლან კლივლენდი.

დანის საგარეო საქმეთა მინისტრმა



ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები •

სინიტირო ტომონაგა: „მოზარული ვართ მეგობრული კონტაქტების დამყარებისა“

აკაკისეული ადგილები კინოფირზე

საჩხერე. (საკ. კორ.). აქ ჩამოვიდნენ საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების კინოსტუდიის ოპერატორები ნ. ჭუმბურიძე, თ. ხატისოვი და რ. ოდიშელიძე.

მათ კინოტურნალ „საბჭოთა საქართველოსათვის“ გადაიღეს აკაკისეული ადგილები. კინოფირზე აღბეჭდეს პოეტის სახლ-მუზეუმი. იყვნენ აგრეთვე სოფელ სავანეში, სადაც ბავშვობას ატარებდა მომავალი მგოსანი. კინოოპერატორები ესტუმრნენ აკ. წერეთლის სახელობის კულტურის კერასთან, გადაიღეს დასასვენებელი სახლი, მდინარე ჩიხურას ლამაზი ხეობა.

ნოველების საღამო

ბმას წინათ მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობთა დასმა ცაგერში გაბმართა ნოველების საღამო. წარმოდგენილ იქნა სამი ნოველა: ა. სულაკაურის „ტალღები“, ო. გობრონიძის „თეა“ და ო. ოთხელიანის „ცეცხლთან თამაში“.

ნოველების საღამომ მაყურებელთა მოწონება დაიმსახურა. (საკ. კორ.).

ახალი სასადილო

ამბროლაური. (საკ. კორ.). ამ დღეებში კიდევ ერთი ახალი ობიექტი შეემატა საზოგადოებრივი კვების ქსელს: სოფელ ბუგეულის ხიდთან აშენდა ახალი საკოლმეურნეო სასადილო.

„საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს დავრწმუნდით, რომ საბჭოთა მეცნიერები კარგად იცნობენ იაპონიის მეცნიერებას და ცდილობენ კიდევ უფრო უკეთ გაიცნონ იგი“, — გაუცხადა საქდესის“ კორესპონდენტს იაპონელ მეცნიერთა დელეგაციის ხელმძღვანელმა სინიტირო ტომონაგამ. იაპონელი მეცნიერები ხუთ დღეს ეცნობოდნენ რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა საქმიანობას, აგრეთვე თბილისის ღირსშესანიშნაობებს.

დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში იაპონიის სამეცნიერო საბჭოს 10 წევრია, ეწვია ფიზიკის, არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის, ეკონომიკისა და სამართლის, ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტებსა

თბილისიდან გაემგზავრა იაპონელ მეცნიერთა დელეგაცია

და თბილისის სხვა სამეცნიერო დაწესებულებებს.

სტუმრებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მაღალია კვლევის დონე მეცნიერების ყველა ძირითად დარგში. მათ მიაჩნიათ, რომ თანამედროვე მეცნიერების ისეთ დარგებში, როგორიცაა ბირთვული ფიზიკა, სასოფლო-სამეურნეო ქიმია, ეკონომიკა, პედაგოგიკა, იაპონელ და ქართველ სპეციალისტებს შეუძლიათ აქტიურად და ნაყოფიერად აწარმოონ ერთობლივი გამოკვლევები.

იაპონიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის პროფესორ ტომონაგას სიტყვით, საქართველოში, ისე როგორც მის სამშობლოში, წარმატებით ვითარდება კოსმოსური სხივების შესწავლა. ქართველმა სპეციალისტებმა, აღნიშნა მეცნიერმა, ამ საქმეში დიდ შედეგებს მიაღწიეს. ქართველი კოლეგების ნაშრომებს კარგად იცნობენ ჩვენს ქვეყანაში. ჩემს კოლეგებში პოპულარობით სარგებლობს, კერძოდ, ქართველი ფიზიკოსი გიორგი ჩიქოვანი, რომელიც იაპონიაში იყო. იგი საინტერესო ხელსაწყოს — ნაპერწკლური კამერის ერთ-ერთი ავტორია.

სასიამოვნოა, რომ როდესაც თქვენს შესანიშნავ ქვეყანაში ვმოგზაურობდით, თქვენმა თანამემამულემ — გამოჩენილმა ფიზიოლოგმა აკადემიკოსმა ბერიტაშვილმა, თავის 80 წლის მიუხედავად, არ მოერიდა მანძილს და გადაწყვიტა ეწვიოს იაპონიას.

მეგობრობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის, აგრეთვე დიმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის დათვალიერების შემდეგ, სადაც სტუმრები გაეცნენ ცნობილი ქართული ღვინოების წარმოებას, დაასკვნეს, რომ ამ დარგში საქართველოს ბადალი არა ჰყავს.

იაპონელ მეცნიერთა განსაკუთრებული კმაყოფილება გამოიწვია იმან, რომ იაპონელ მეღვინეთა ხუთი სახეობის პროდუქციამ მედლები დაიმსახურა ყურძნისა და შამპანური ღვინოების და კონიაკების საერთაშორისო კონკურსზე, რომელიც ამას წინათ თბილისში დამთავრდა.

იაპონელ მეცნიერებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იმან, რომ რესპუბლიკაში ვითარდება სამეცნიერო დაწესებულებანი, იქმნება ბევრი ახალი რამ. სტუმრებმა აღნიშნეს, რომ საქართველოში, ისე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მეცნიერების განვითარებას.

გუშინ, 17 სექტემბერს, იაპონიის სამეცნიერო საბჭოს დელეგაცია სომხეთში გაემგზავრა. (საქდესი).

ბარაქალა, სკოლების მშენებლებო!

არასოდეს არ ახსოვს ქუთაისს სასკოლო მშენებლობის ასე ფართო გაქანება. მარტო ამ უკანასკნელ წლებში ქალაქს შეემატა საშუალო სკოლის 9 და საბავშვო ბაღის 8 ახალი შენობა. სკოლებს მიუშენდა აგრეთვე საკლასო ოთახები 2.500 მოსწავლისათვის.

ამ ახალ სასწავლო წელს ქუთაისში კიდევ ორი ახალი სასკოლო შენობა გადასცეს საექსპლოატაციოდ. ყველა ეს სკოლა ითვალისწინებს ერთ-ერთ ადგილზე ერთ-ერთ ... ...